გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 119
2022 წლის 10 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის ორ ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო GEORGIA. GORI MUNICIPALITY ASSEMBLY 218086087

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების 2021 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	ივლისი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლეილა მამულაშვილი
2	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლის " 2021 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში .	ივლისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია გიორგი გოგშელიძე
3	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2021 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ივლისი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია მანუჩარ ლაფაჩი
4	ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2021 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	აგვისტო	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია გიორგი გოგშელიძე
5	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის განყოფილების 2021 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	აგვისტო	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია მანუჩარ ლაფაჩი
6	გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	აგვისტო	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ასმათ ტალახაძე

7	ა(ა)იპ კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილების 2021 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	სექტემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
8	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების 2021 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	სექტემბერი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
9	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის 01 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით ფინანსური ანგარიში	სექტემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**